პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 აგვისტო შაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 180 (14176)

ბრიტანეთი ნიობეთები

საქართველოს კპ ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ლომიძემ, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ბიორგოზიანმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. ფელიშვილმა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ ტყიბულელებმა 29 ივლისისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის კურკოვანი ხილის მიყიდვის წლიური გეგმა, სახელმწიფოს მიეყიდა 1.785 ტონა ხილი ნაცვლად 1.700 ტონისა, რაც წლიური გეგმის 105,5 პროცენტს შეადგენს.

სახელმწიფოსათვის კურკოვანი ხილის მიყიდვა გრძელდება.

ბუთნელი — ვალდებული

საქართველოს სსრ ტანსაცმელეებმა შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის გეგმა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშრომელებმა, რომლებიც შეჯიბრებაში არიან ჩაბმული სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურეულის მიყიდვის (გარდა სიმინდისა) გეგმა.

პურის მისალეგ პუნქტებში შემოვიდა 72 ათასი ტონა მარცვალი.

სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვა გრძელდება.



უხვი მოსავალი მიიღეს წითელწყაროელმა მემინდვრეებმა. შირაქის მიწის ბარაქით აივსო ბეღლები, გაიხარეს კოლმეურნეებმა. სოფელ არხილოსკალოს კოლმეურნეობის მექანიზებულ კალოზე ხორბლის მთები დადგა. აქ ასუფთავებენ მარცვლს და მერე სახელმწიფო და საკოლმეურნეო ბეღლებში მიაქვთ. სურათზე: არხილოსკალოს კოლმეურნეობის მექანიზებულ კალოზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

იდეოლოგიური მუშაობის სუფი და გუფი

კომუნისტური პარტიის ძალა არის მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულება, მისი რიგების იდეური და ორგანიზაციული შეკავშირება, ის, რომ განუხრელად ზრუნავს რევოლუციური თეორიის სიწმინდისა და მისი შემოქმედებითი განვითარებისათვის, მასების იდეურად შეიარაღებისათვის. კომუნისტური იდეოლოგია არის ის ძალა, რომელიც ერთიან მონოლითად აღუღაბებს მილიონობით ადამიანის ნებასა და მოქმედებას, პარტიასა და ხალხს.

იდეოლოგიური ფრონტი ყოველთვის იყო კლასობრივი ბრძოლის უმწვავესი ფრონტი. მაგრამ ეს ბრძოლა ჩვენს დროში, ამ ეტაპზე განსაკუთრებულ ხასიათს ღებულობს. იმპერიალიზმი ცდილობს ყოველგვარი საშუალებით შეაჩეროს მსოფლიო რევოლუციური პროცესის ზრდა, შიგნიდან გამოუთხაროს ძირი სოციალისტურ საზოგადოებას. მათი მიზანია თავიანთი მავნე იდეური ტვირთით შემოაღწიონ ჩვენს საზოგადოებაში, შეასუსტონ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ერთგულება მათ მიერ შექმნილი სოციალისტური წყობილებისადმი, სოციალიზმის მონაპოვრისადმი, მათი ნდობა ხელისუფლების სათავეში მყოფი კომუნისტური პარტიებისადმი.

ცხადია, ასეთ ვითარებაში მტრულ იდეოლოგიასთან შეურიგებელი ბრძოლა, იმპერიალიზმის ოინების მკაცრი მხილება, სკკპ წევრთა და ყველა მშრომელის კომუნისტური აღზრდა, პარტიის მთელი იდეოლოგიური საქმიანობის გაძლიერება მთელი ჩვენი პარტიის, მისი თვითეული ორგანიზაციის უპირველესი საბრძოლო ამოცანა უნდა იყოს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ, ივლისის პლენუმზე პარტიამ კვლავაც საჭიროდ მიიჩნია, რომ „ყოველნაირად განამტკიცოს პარტიისა და ხალხის ერთიანობა, ყოველმხრივ გაშალოს იდეოლოგიური მუშაობა, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების პროპაგანდა“.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც განუხრელად ხელმძღვანელობენ სკკპ XXIII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. ამ ერთი თვის წინათ გაიმართა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. იგი სპეციალურად მიეძღვნა საკითხს: „კომუნისტთა და უპარტიოთა მარქსისტულ-ლენინური განათლების მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოუწოდა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მთავარი უყურადღება მიაქციონ იდეოლოგიური მუშაობის ძირითად მიმართულებებს, რომლებიც შეესაბამება სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობისა და საერთაშორისო ასპარეზზე კლასობრივი ბრძოლის თანამედროვე ეტაპს.

იდეოლოგიური მუშაობის სული და გულია პარტიული პროპაგანდა. კომუნისტებმა, ყველა მშრომელთან მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად შეთვისება პარტიული პროპაგანდის მთავარი საზრუნავია. თუ გადავხედავთ პოლიტიკური განათლების ქსელში გასული სასწავლო წლის შედეგებს, ნათელი გახდება, რომ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს ძირითადად კარგად უმუშავნიათ. სასწავლო წლის მანძილზე საგრძნობლად ამაღლდა მასების პოლიტიკური შეგნებულობა, რომელმაც თავისი კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ჩვენი მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების განვითარებაზე. პარტიული პროპაგანდის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის დადებითი მაგალითები შეიძინეს თბილისის, ქუთაისის, ფოთისა, სამტრედიის, ზესტაფონის, ბორჯომის, ახალციხის, ოზურგეთის, ფოთის, ონის, ლაგოდეხის, ბოლნისის, ხაშურის, ბაღდათის, ზესტაფონ

ალმაზრდელობითი მუშაობის ქვაკუთხედი

ახლანდელ პირობებში, როცა პარტია წყვეტს დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ ამოცანებს, თვითეული კომუნისტის მოვალეობაა ფეხი აუწყოს ცხოვრებას, ენერგიის დაუზოგავად იშრომოს, დაეუფლოს მარქსიზმ-ლენინიზმის დიად თეორიას, გამოიმუშაოს ბოლშევიკური იდეურობა და პრინციპულობა.

პარტიის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო მჭიდროდ უკავშირებენ იდეოლოგიურ მუშაობას პრაქტიკულ საქმიანობას, რაზმავენ მშრომელებს ხუთწლედის მესამე წლის გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთვის ღირსეულად შესახვედრად.

შრომითის კოლექტივებში ალმაზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს მიეძღვნა პარტიის რაიკომის მიერ მოწყობილი იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირები, პარტიული აქტივის კრება, პარტორგანიზაციებისა და მდივნების სკოლის მეცადინეობა და ა. შ., ამ ოთხი თვის წინათ კი მშრომელთა კომუნისტური ალზრდის საკითხები რაიკომის პლენუმის მსჯელობის საგანი გახდა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ადამიანის ალზრდას **უშუალოდ შრომითი საქმიანობის პროცესში.** თვითეული საბჭოთა მოქალაქე ახალი ხუთწლედის ამოცანებში ხედავდეს საკუთარი შრომის პროგრამას, ღირსეული წვლილი შეჰქონდეს მის შესრულებაში, — აი, საითკენ მიმართავენ თავანთ იდეოლოგიურ მუშაობას პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

სულ უფრო ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო გეგმების ვადამდე შესასრულებლად. პარტიული ორგანიზაციები მოელრიგ ღონისძიებებს ახორციელებენ მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისათვის. განსაკუთრებით კარგად მოაწყეს ამ მხრივ საქმე ნაგვაზოს სტალინის, დიდი ჭყონის მახარაძის, ახალციხის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობებში, დიდი ჭყონის პირველ და მეორე ჩაის ფაბრიკებში.

სოციალისტური შეჯიბრება თავისი მიზანსწრაფულობითა და კონკრეტულობით გამოირჩევა დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. მეურნეობის მუშაკებმა გადაწვეტეს ხუთწლედის ბოლოსათვის სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცენ 800 ტონა ჩაის ნედლეული, 10 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და მნიშვნელოვნად შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება. მეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა მოაწყო პოლიტინფორმატორების, ლექტორებისა და აგიტატორების ხემინარი, რომლის მიზანი იდეოლოგიური, პოლიტიკურ-ალმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება იყო. აქტივისტებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება, გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი.

ხუთწლედის მესამე წლის გაზრდილ ვალდებულებათა დროულად, გადამეტებით შესრულებისათვის, აგრეთვე მასობრივ-პოლიტიკური, ალმზრდელობითი მუშაობის უკეთ წარმართვისა და ეფექტურობის ამაღლების მიზნით პარტიის რაიკომის ბიუროს წევრებმა საუბრები გამართეს ადგილებზე იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებთან — აგიტატორებთან, პროპაგანდისტებთან, ლექტორ-მეგზსენებლებთან, კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებთან.

თანამედროვე პირობებში საშინაო და საგარეო ვითარებიდან სწორი დასკვნების გაკეთება, პარტიის პოლიტიკის ღრმად და დამაჯერებლად ახსნა, ცხოვრებაში მისი განხორციელება შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც სათანადო თეორიული მომზადება აქვს, ყოველდღიურად იფართოებს ჰორიზონტს. ბუნებრივია, ეს პირველადი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს მუდმივ ზრუნვას მშრომელთა იდეური ალზრდისათვის.

ცნობილია, რომ ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პარტიული და კომკავშირული პოლიტიკური განათლება. გასულ სასწავლო წელს რაიონის პოლიტიკურ სკოლებსა და თეორიულ სემინარებში სწავლობდა 3204 კაცი. სწავლების დაწყების წინ პარტიის რაიკომის მიერ პარტიული ორგანიზაციებისათვის გამოიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც დიდად დაეხმარა აქტივს თეორიული პრობლემების ღრმად შესწავლასა და შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებაში.

შემაჯამებელმა მეცადინეობებმა ცხადყო, რომ პარტიული სწავლების სისტემის სკოლებისა და სემინარების მსმენელთა უმრავლესობა მონდომებით სწავლობდა პროგრამულ მასალას. სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების მსვლელობაში განუხრელად იზრდება კომუნისტების, უპარტიო მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის აქტივობა, მათი ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალური პრობლემებისადმი.

ამასთან ერთად შემაჯამებელმა მეცადინეობებმა გამოავლინა ის ნაკლოვანებანი, რაც ადგილებზე კომუნისტთა პოლიტიკურ სწავლებაში გვაქვს. ზოგიერთ ხემინარსა და სკოლაში მეცადინეობის იდეური დონე ჯერ კიდევ ვერ დგას ჯეროვან სიმაღლეზე, ხოლო შესწავლილი მასალები ყოველთვის როდი უკავშირდება კოლექტივების პრაქტიკულ ამოცანებს. ცალკეული პარტიული ორგანიზაციები სუსტად ახორციელებენ ხელმძღვანელობასა და კონტროლს სკოლებისა და სემინარების მუშაობისადმი, ხოლო ზოგნი მასში აერთიანებენ სხვადასხვა განათლებისა და პოლიტიკური მომზადების მქონე ადამიანებს.

მიმდინარე ზაფხულს კარგად ვიყენებთ პოლიტიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად. ეს საკითხი დეტალურად განხილეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებმა და მას საფუძვლად დაუდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ახალ სასწავლო წელს გაიზრდება პოლიტსკოლებისა და სემინარების რიცხვი, შესაბამისად გადიდდება მათში ჩაბმულ მსმენელთა რაოდენობაც.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშაველებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მათთვის შეიქმნება 25 საკონსულტაციო ჯგუფი, მაშინ როცა შარშან მხოლოდ ხუთი იყო. გავაძლიერებთ ზრუნვას პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის სწავლებისათვის. ცალკე საბჭოთა მუშაკებისათვის იმუშავებს მუდმივმოქმედი სემინარი.

ქმედით დახმარებას გაუწევთ კომკავშირულ ორგანიზაციებს. უველაზე მეტ ყურადღებას მივაქცევთ პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას. პარტიული კომიტეტები გამოიყოფენ გამოცდილ, ავტორიტეტულ პროპაგანდისტებს კომკავშირული პოლიტგანათლებისათვის.

პროპაგანდისტულ მუშაობაში ფართოდ მოვიზიდავთ ხელმძღვანელ კადრებს. ამასთან შეექმნით პროპაგანდისტთა კადრების საიმედო რეზერვს, ვიზრუნვებთ პროპაგანდისტთა მორალური და მატერიალური წახალისებისათვის.

რაიონში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა პოლიტინფორმაციამ, როგორც მასებში პოლიტიკური მუშაობის ახალმა ფორმამ. აღსანიშნავია ამდათის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობისა და ხემინარების კოლმეურნეობა „წინსვლის“ პოლიტინფორმატორებს ა. ცხაკაიას, ა. ჩილაჩავას, ს. ციკოლიას, ნაგვაზაოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, დიდი ჭყონისა და ვედიდკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობების პოლიტინფორმატორთა ჯგუფების (ხელმძღვანელები შ. ჯიშკარიანი, შ. კილასონია, ა. პატარაია) გამოცდილება. აქ პოლიტინფორმატორთა ჯგუფებში გაერთიანებული არიან თეორიულად მომზადებული მუშაკები, ნარმოების ხელმძღვანელები, რომელთა გამოსვლები მსმენელთა ინტერესს იწვევს.

პარტიის რაიკომი ხისტემატურად იწვევს აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა, პოლიტინფორმატორთა თათბირ-სემინარებს. მათთვის შექმნილია მუდმივმოქმედი სემინარები, მეცადინეობა რეგულარულად ეწყობა.

უკანასკნელად პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გეგმები შეადგინეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთვისთვის მზადების შესაბამისად. მათში გათვალისწინებულია როგორც რაიონული, ისე ადგილობრივი თეორიული და მეცნიერული კონფერენციების მოწყობა მარქსისტულ-ლენინური თემატიკის მიხედვით, ლექციების კითხვა საწარმოდაწესებულებებში, საზოგადოებრივ მეურნეობებში.

ალმაზრდელობითს მუშაობაში პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო მეტ როლს აკისრებენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ახლა რაიონში არ არის ისეთი სოფელი, რომელსაც არ გააჩნდეს კულტურის სახლი, კლუბი, ბიბლიოთეკა... საინტერესო და მრავალფეროვან მუშაობას ეწევა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად შრომელთა კომუნისტური ალზრდის საქმეში ჩვენთან ჯერ კიდევ ცოტა რიცხა გადაუჭრელი საკითხები. პარტიის რაიონული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო მეტად ამაღლებენ მუშაობას იმისათვის, რომ ყოველი მშრომელი იყოს ნამდვილად იდეური მებრძოლი, აქტიურად მონაწილეობდეს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

სულელყოფთ რა იდეოლოგიური მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, უფრო მიზანდასახულად წარვმართავთ ალმზრდელობითს მუშაობას მასებში.

ნ. ჩხოლარია.

საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომის პირველი მდივანი.

ციალა ღარიბაშვილმა ხუთი წლის წინათ დატოვა მშობლიური ტონჩის მთები და დუშეთს მიაშურა, სადაც მისი უფროსი და დუსა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს ხალიჩების საქსოვ საამქროში მუშაობდა. მთიელ გოგონას თავიდანვე დაჰყვა ქსოვის სიყვარული, ყველა შეეროდა მისი ხელით ნაქსოვ ჩოქელ წინდებს და ხელთათმანებს, ახლა კი ხალიჩების ქსოვაში უნდა ეცადა ბედი.

...საამქროში ორმოცდათორმეტი გოგონა შრომობდა. ერთმანეთზე მიჯრით ჩამწკრივებულ საქსოვ დაზგებს მისხდომოდნენ ქალიშვილები და მათი თითები რიტმულად და სწრაფად მძრაობდნენ, ისმოდა საბეჭურების გაბმული ხმაური, ქსელზე ლამაზად იხატებოდა ფერებში გაცოცხლებული ქართული ორნამენტი, იქსოვებოდა ქართული ხალიჩები „არმაზი პირველი“, „არმაზი მეორე“, „ქართული“ და „ქართული შესამე“.

ორი თვის განმავლობაში სწავლობდა ციალა ხალიჩის ქსოვას. მისი მასწავლებელი იყო უფროსი და დუსა, რომელმაც ადრევე შეიყვარა ეს რთული პროფესია. შემდეგ ციალას საკუთარი საქსოვი დაზგა, ფერად-ფერადი ძაფი ჩაბარეს და შრომითი წარმატება უსურვეს.

დაიწყო დაძაბული და ამავე დროს საინტერესო შრომის დღეები. მთელი თვე მოუნდა ციალა ერთი კვადრატული მეტრი ხალიჩის შრქსოვას. ბევრჯერ გაეშირა კვანძების ამოყვანა, მთელი დღე მოხრილი ჯდომა. მაგრამ გული არ გატეხია. ამხანაგებიც ამხნევებდნენ.

გადიოდა დრო. ციალას თითები ბრიქოს უფრო ელასტიკური გახდნენ, ისინი ახლა ისე მრძრაობენ, როგორც ვირტუოზი პიანისტის თითები კლავიშებზე. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი მუსიკას კი არ გამოსცემენ, არამედ ნაირ-ნაირ ფერებს ხატავენ.

კომკავშირელი გოგონა ციალა ღარიბაშვილი ახლა ხალიჩების ქსოვის დიდი ოსტატია. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მისი ნახელავისათვის ვინმეს წუნი დაეფოს, ის შრომობს ოქრომფდლის სიზუსტით, დიდი გულისყურით და მონდომებით; ციალამ ხუთი ათასზე მეტ კვანძს აკეთებს; ახლახან ციალას ჩაბარეს ახალი, რთული ესკიზი, რომლის მიხედვით იქსოვება ლამაზი ხალიჩა „თბილისი“. სამუშაო წარმატებით გრძელდება, მოუხედავად დიდი სირთულისა, ხალიჩა მალე მზად იქნება და გაიგზავნება თურქეთში ხალიჩების გამოფენაზე. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ციალას და მის მეგობრებს.

ახლახან ვეწვიეთ საამქროს, რომლის ერთელ დარბაზში დაუღალავი შრომა იყო გაჩაღებული, თვალს იტაცებდა ხალიჩების ლამაზი მოხატულობა. გამახსენდა ხალხური გამოცანა: — ზოგან აკეთელ, ზოგან წითელ, ზოგან ალისფერია... ამაყობს საამქროს უფროსი ნინო დათოშვილი მქსოველთა წარმატებით, შარშან ნაცვლად 540 კვადრატული მეტრისა, საამქროს კოლექტივმა მოქსოვა 550 კვადრატული მეტრი უმაღლესი ხარისხის ხალიჩები, რომლებიც ამშვენებენ საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და მშრომელთა ბინებს.

ამ საერთო წარმატებაში ციალა ღარიბაშვილის წვლილიც არის.

ხალიჩების ქსოვის ოსტატებმა წელსაც გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. ვალდებულებები გულისხმობს მეტი და მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას, თვითღირებულების შემცირებას და ნედლეულის დაზოგვას.

აკვირდებით მქსოველ ქალთა ხალისიან შრომას, რომლებსაც გაწაფული თითებით და ფერად-ფერადი ნართით გამოქსოვთ დიდებული ქართული ორნამენტებით, და გკრთავთ, რომ ეს ქალიშვილები ნაკისრ ვალდებულებებს აღტილებლად საქმედ აქცევენ.

ა. თომაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: ციალა ღარიბაშვილი საქსოვ დაზგასთან.

ფოტო ვ. ქინტაურისა.

ახალი სახელები

ქართული ორნამენტის ოსტატი

სოფელ მუხურის ჯგუფურის საბჭოს კოლმეურნეობის ჩაის ბაღვრდოვან პლანტაციებში დიდი და პატარა ჩაის საკრეფად ირის გამოსულა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე **კ. ელიავა** სიხარულით შეპყურებს შრომაში გართულ თანასოფლელებს. მართალია, არანელსაყრელი ამინდი მუხურელებსაც საგრძნობლად უშლის ხელს, მაგრამ საქმე არცთუ ცუდად მიდის. ოთხასამდე მკრეფავი ყოველდღიურად დასტრიალებს თავს მიჩენილ პლანტაციებს. მოსაკრეფად მოსული არც ერთი კოლგრამი ჩაი არ იკარგება. ორმოცამდე კომუნისტია ამ კოლმეურნეობაში. მათი ინიციატივით ჩაის მოსავლიანობის ამაღლებისათვის ბევრი რამ კარგი კეთდება.

გვალვას ალობებს მუხურელებმა. პლანტაციებისა და დიდი ნაწილი ირწყვება. ამისათვის მდინარე ოქუმის მაღლობებიდან პლანტაციებისაკენ არხებია გაყვანილი, ზოგიერთ შორეულ ნაკვეთს კი სპეციალური ტუმბოებით აწვდიან წყალს. ამიტომაც აქაურმა მეჩაიეებმა მიუხედავად სიძნელეებისა გადწყვიტეს წელს სამშობლოს ნაცვლად 525 ტონისა 550 ტონა „ბწყვანე ოქრო“ მისცენ. რავიანთი ვალდებულების ანგარიშში მეჩაიეებმა უკვე მოკრიფეს 350 ტონაზე მეტი ფოთოლი. მან მიერ ჩაბარებული ჩაის ნედლეული ძირითადად პირველი ხარისხისაა.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ციალა გვალია, ზოია და იამზე ბულისკერიები** მეჩაიეთა მატალნაყოფიერი შრომისათვის გაწეული სოციალისტური შეჯიბრების თაოსნები არიან. თვითეული მათგანი ყოველდღიურად 70-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ აფხაზეთში პირველად რამდენიმე წლის წინათ აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის პლანტაციებში გამოჩნდა. ამრიგად ამ მეურნეობას უკვე 12 ასეთი მანქანა აქვს. წელს აქ მანქანებით მოკრეფილია ასობით ტონა ჩაის ფოთოლი. აქტიური კომუნისტების თაოსნობით მეურნეობაში საუკეთესო ტრადიცია დამკვიდრდა—სრულის თითქმის ყოველი მექანიზატორი „საქართველოს“ მართვას სწავლობს. განსაკუთრებით ახალგაზრდობა მოისწრაფვის ახალ მანქანაზე სამუშაოდ. 17 წლის კომკავშირელი **ნაზიბროლა ხასია** მე-15 ბრიგადის პირველ რგოლში „საქართველოს“ ერთ-ერთი საუკეთესო მძღოლია. 11 ჰექტარზე უკვე მოკრიფა 30 ტონაზე მეტი ნედლეული. ეს თაოსნობა მართლაც როგორ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს! ნაზიბროლასათვის მიჩენილი პლანტაციის ბზირი სტუმრები არიან მეურნეობის პარტიბიუროს მდივანი **ა. ჭარდავა** და პარტიის გალის რაიკომის პირველი მდივანი **ა. ქავთარაძე.** პარტიის რაიკომი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პლანტაციებში ჩაის მექანიზებული კრეფის უკეთ მოწყობას.

მანქანების გარდა აჩიგვარში ყოველდღიურად 1.600-1.800 ქალი და კაცი გამოდის ჩაის საკრეფად. წელს აჩიგვარელები ჩაის საკრეფად, 3.250 ტონა ფოთოლს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.150 ტონისა.

მთაგორაკების სამხრეთ კალთებზე მზეს მიფიცებებიან **მზიურის ციტრუსეული** საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციები. მეურნეობის დირექტორი, გამოცდილი სპეციალისტი **მ. ალავიძე** პარტიბიუროს მდივან **ლ. ფარეიძესთან** ერთად ეს-ეს არის პლანტაციების შორეული ნაკვეთებიდან დაბრუნდა.

— მართალია, ზოგიერთ ადგილზე ფაქტებში,— ამბობს მ. ალავიძე, — გვალვა ძალიან უშლის ხელს ბუჩქების ვეგეტაციას, მაგრამ მთლიანად მეურნეობა კრეფის გეგმებს ასრულებს.

ალმოსავლეთიდან მდინარე ენგურის ხეობა ესაზღვრება სოფელ ჭუბურხინჯის **ი. ბ. სტალინის** სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებს. აქ წარმატებით სრულდება „ბწყვანე ოქროს“ კრეფის ყოველდღიური დაკალებები. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე **მ. ყოლბაია** კმაყოფილებით ამბობს, სიძნელე სიძნელეა, მაგრამ წელს გეგმას მაინც გადავაჭარბებთო..

ამისათვის მოწინავე კოლმეურნეობაში ყველა პირობა აქვთ. წლიური გეგმა 565 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს. ჩაის კრეფაში ჭუბურხინჯელები ხარისხს აქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას.

მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისთვისაც დაუღალავად იბრძვიან ამ დღეებში გალის რაიონის ჩაის პლანტაციების მშრომელები. ამიტომაც აჩიგვარის ფაბრიკის დირექტორი ლ. ზუხბაია თავის საუბარს იმით იწყებს, თუ რა ხარისხის ნედლეულს აბარებენ წელს მეჩაიეები ფაბრიკას. მან ჩამოთვალა მთელი რიგი მეურნეობები, რომლებიც ნედლეულის ხარისხს ყოველთვის იცავენ. მათ შორის არიან ხუმუშურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი **შ. ეზუგბაია**), სოფელ პირველი გალის კოლმეურნეობა „ნარინჯვანი“ (თავმჯდომარე **მიხ. ეზუგბაია**), კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე **გ. ცაცუა**), სოფელ გუდაგის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე **ს. აქუბარდია**).

ჩაის ფაბრიკის სპეციალისტები იბრძვიან ჩაის ფოთლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, ამ რამდენიმე დღის წინათ კოლმეურნეობა „შეშელეთში“ ფოთლის კრეფის წესები ირღვეოდა, მეჩაიეები შემოისვლელ და გადაუხვეველ ფოთოლს კრეფდნენ. ფაბრიკიდან ლაბორანტი ფაბრიკის ფოთოლი ამოსაბერ ადგილებში ბევრ ფოთოლს ამოსაბერ ადგილებში ბევრ ფოთოლს ამოსაბერ ადგილებში ბევრ ფოთოლს

საერთაშორისო ცხოვრება

ქრონიკა • პრობლემები

მსოფლიოს დეპეშათა სააგენტოები გვაცნობებენ

იცარე, მეგობრობის ხეივანო!

ის იყო მზემ ამოანათა, რომ სიკაბუკის დაუცხრომელმა ქალაქმა „გარაისკომ“, სადაც დელეგატები ცხოვრობენ, გაიღვიძა. პირველი აგვისტო ფესტივალზე გამოაცხადეს „ბულგარეთის ხალხთან და ახალგაზრდობასთან მეგობრობის დღედ“.

ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი გაემართა ბულგარეთის რევოლუციურ და ხალხურ ტრადიციებთან დაკავშირებულ ადგილებისაკენ. – მათ ყვავილებით შეამკეს ძეგლები.

...ცხრა საათზე რომ მოსულიყავით საერთო საცხოვრებელში, სადაც ჩვენი დელეგაცია განლაგდა, ველარავის ნახავდით, შტაბის მორგის გარდა. დიდ სტენდებზე გამოკრულია განცხადებანი, წერილები, დეპეშები. ეს სპეციალური გამოშვება „ელვა“. იგი გვაუწყებს: საბჭოთა კავშირიდან ჩვენი დელეგაციის სახელზე მოსულია ასობით დეპეშა, რომლებშიც წარმატებებს უსურვებენ კონცერტებსა და სპორტულ მოედნებზე.

ბიულეტენის მეორე საგანგებო გამოშვებაში მოთხრობილია ვიეტნამთან სოლიდარობის ნიშნად შრომითს საქმეებზე.

ვიღაცას ფერადი ფანქრით ფურცელზე წაუწერია: „ვულოცავთ სპორტული შეჯიბრების პირველ გამარჯვებულებს, ჩემპიონებს — ვალია ბარაკუსკაიტს (ცურვა 200 მეტრზე. „ბრასით“) და ტანია ჯენეევას (წყალში ხტომები)“. პროგრამით საბჭოთა დელეგაცია 1 აგვისტოს დილით შეხვდა სოფიის საწარმოებისა და კოოპერატივების მშრომელებს, მონაწილეობდა „ფესტივალის“ დარბაზის წინ მეგობრობის ხეივნის გაშენებაში.

ეს სპორტული დარბაზი აშენდა სოფიაში სპეციალურად მსოფლიოს სიჭაბუკის დღესასწაულისათვის. ინტერნაციონალურ შაბათობაზე გამოვიდა 148 ქვეყნის ახალგაზრდობა. საბჭოთა ჭაბუკის გვერდით დგას მისი მეგობარი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

— სიმბოლურია, — თქვა ვოთხტემ, — რომ ჩვენი ხეები ერთმანეთის გვერდითია. ერთად არიან ჩვენი მომმე ხალხები. ფესტივალზე დავრწმუნდით, რომ მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობა და განსაკუთრებით სოციალისტური ქვეყნების ქალიშვილები და ჭაბუკები დიდი მეგობრობის გრძნობით გვიკავდებიან.

სომალიელ ქალიშვილს ფატიმა კასინს არასოდეს არ უნახავს ნაძვები: მის სამშობლოში მხოლოდ პალმები ხარობს. დღეს იგი პირველად შეეხო ნაზ მწვანე ტოტებს და სიამაყით მიამაგრა ნაძვს ფირფიტა თავისი ქვეყნის სახელწოდებით.

ბულგარეთის დელეგაციას დღეს ესტუმრნენ საბჭოთის წარმოგზავნილები. ეს იყო ორი მეგობარი ქვეყნის ახალგაზრდობის გულწრფელი შეხვედრა.

ბულგარელი ქალიშვილები და ჭაბუკები ამ დღეებში ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ ლენინურ კომკავშირს, რომელიც თავის სახელოვან 50 წლისთავს აღნიშნავს. განაცხადა ამ შეხვედრაზე ახალგაზრდათა დიმიტროვული კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ივან პანევმა. ჩვენ ყოველდღიურად დიდ გამოცდილებასა და შთაგონებას გვძენენ ჩვენი საბჭოთა თანატოლები.

საბჭოთა დელეგაციის სახელით გამოვიდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ევგენი ტიაჟელნიკოვი, რომელმაც თქვა, რომ საბჭოთა ხალხისა და ბულგარელი ხალხის ერთ-ერთ მთავარ მონაპოვრად შეიძლება ჩაითვალოს ის დიადი მეგობრობა, რომელიც განმტკიცა წლების განსაცდელმა და ერთად დაღვრილმა სისხლმა. ჩვენ ვუფრთხილდებით ამ წმინდა მეგობრობას და არავის არ შევარჩენთ მას.

დღისით საბჭოთა დელეგაციის ცალკეული ჯგუფები ეწვევნენ სოფიის საწარმოებს.

მრავალთასიანი მანიფესტაციები მიუძღვნა მე-9 მსოფლიო ფესტივალმა თავის სტუმართმოყვარე მასპინძელს — მზიურ ბულგარეთს. — ფესტივალის პირველ ხუთ დღეში ახალგაზრდობა პატივისცემითა და სიყვარულით განიმსჭვალა თავის შეკრების დედაქალაქისადმი, ქვეყნისადმი, რომელმაც შვა ივანე ვაზოვი და ხრისტო ბოტევი, დიმიტრი ბლაგოევი და გიორგი დიმიტროვი.

რესპუბლიკის ყველა შემოქმედებითს ორგანიზაციაში მოეწყო მეგობრული „ოკტეელები“. ბულგარელი პოეტები და მწერლები შეხვდნენ სხვა ქვეყნების ახალგაზრდა ლიტერატორებს. ვაიმართა კომპოზიტორთა და მხატვართა შეხვედრები. საღამოს ბულგარეთის დედაქალაქის პოეტები გამოდიოდნენ ესტრადებზე, თეატრებში.. სხრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციათა გაერთიანებული კონცერტი, რომელიც სახალხო ოპერის სცენაზე მიმდინარეობდა, შთამბეჭდავი სანახაობა გახდა, ორი ქვეყნის ხელოვნების ძმური ერთიანობის დღისასწაულად გადაიქცა.

„ბულგარეთი აშენებს, მღერის, ცეკვავს“ — ასე ეწოდა დიდ სპორტულ-მხატვრულ წარმოდგენას, რომელიც ვასილ ლევსკის სახელობის სტადიონზე მოეწყო. ამ წარმოდგენით დამთავრდა მე-9 მსოფლიო ფესტივალის მეხუთე დღე.

სოფია, 1 აგვისტო.

დ. გოჩაროვი, ი. დოგროტინა, ი. ვეკსლერი, ვ. პანტერია, ვ. ჩუკსეევი.

საკდესის სპეც. კორ.

მსოფლიოდ ფაქტები

● **ნიუ-იორკი,** 2 აგვისტო. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის სახალხო შეიარაღებული ძალები „კლავ ახალ დარტყმებს აყენებენ მოწინააღმდეგეს. გუშინ მათ ელვისებური იერიში მიიტანეს ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარისკაცთა ქვეგანაყოფზე დანანგის სამხრეთ-დასავლეთით 32 კილომეტრზე, განდევნეს მტერი დაკავებული პოზიციებიდან. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, ამ ბრძოლაში დახოცილია 5 და დაჭრილია 14 საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი.

● **კარაკასი,** 2 აგვისტო. (საკდესი). სტიქიური უბედურების შედეგად დაიღუპა ხუთი და დაშავდა სამი კარაკასელი. ოფიციალურ ცნობით დამოწმებულია, რომ ამ ოთხეულმა ქარიბთა ოჯახები ცხოვრობდნენ. ბევრი ასეული ადამიანის სიცოცხლე კვლავ საფრთხეშია.

პრეზიდენტ მასამბა-დებას გამოსვლა

ბრაზავილი, 1 აგვისტო. (საკდესი). ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალფონს მასამბა-დებამ დღეს გამოაცხადა, **რომ დაითხოვა ეროვნული კრება და შეაჩერა მმართველი პარტიის ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პოლიტბიუროს საქმიანობა. ეს პრეზიდენტმა განაცხადა დღეს ეროვნული რადიოთი.**

ა. მასამბა-დებამ აგრეთვე განაცხადა, რომ ბრაზავილის კონგოში შეიქმნა რევოლუციის დაცვის კომიტეტი, რომელშიც შევლენ კონგოს წამყვან პოლიტიკურ მოღვაწეთა თანამბრძოლი მიერ დანიშნული პირები.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამიერიდან პარლამენტის ახალ არჩევნებამდე ოგი შეასრულებს საკანონმდებლო ხელისუფლებას ქვეყანაში პრეზიდენტის დეკრეტის გამოცემის გზით.

როგორც მასამბა-დებამ თქვა, ეს ღონისძიებანი ხორციელდება „ხალხის იმ სურვილების შესაბამისად“, რომლებიც გუშინდელი მანიფესტაციების დროს გამოთქვა.

ესპანეთი

პიცზავენ ფრანკოს რეჟიმს

ლონდონი, 1 აგვისტო. (საკდესი). ესპანეთის ქალაქ ბილბაოში დააპატიმრეს ექვსი და დიდი თანხით დააჯარიმეს ოთხი მღვდელი. როგორც რეიტერის საგენტოს ბილბაოელი კორესპონდენტი იუწყება, ფრანკოს რეჟიმმა მღვდლების წინააღმდეგ ეს რეპრესიული ღონისძიებანი იმიტომ განახორციელა, რომ მათ თავიანთ ეკლესიებში აკრძალეს ლოცვის დროს ფრანკისტული სახელმწიფოს ალმის გამოკიდება და უარი თქვეს ლოცონ საჯარო ცერემონიების დროს, რომლებსაც ესპანეთში ფაშისტური ამბოხების დაწყების წლისთავის აღსანიშნავად აწყობენ.

დიქტატურის რეჟიმისადმი ოპოზიცია დღითიდღე იზრდება და ახალ-ახალ მომხრეებს იძენს ესპანეთის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებში, როგორც ცნობილი გახდა ინფორმირებული წყაროებიდან, წერს რეიტერის საგენტოს ბილბაოელი კორესპონდენტი, ახლა პოლიციი გამოიძიებს 70-ზე მეტი მღვდლის საქმიანობას, რომლებიც სიმპათიით ეკიდებიან დემოკრატიულ მოძრაობას და კიცხავენ ფრანკოს რეჟიმს.

● **იაპონია**

ტოკიო განაგრძობს ჩაწევას

1967 წლიდან ტოკიოს მთელ რიგ რაიონებში ნიადაგმა სწრაფად იწყო დაწევა. ეს გამოაცხადა იაპონიის დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა მას შემდეგ, რაც გაზომეს გრუნტის დონე ქალაქის სხვადასხვა პუნქტში. ჩაწევა ძირითადად აღნიშნულია მდინარეების სუმიდასა და არაკავას რაიონებში. 1967 წლის განმავლობაში 17 სანტიმეტრით ჩაიწია ტოკიოს ერთ-ერთი რაიონი — ედოგავა-კუს აღმოსავლეთმა ნაწილმა, 10 სანტიმეტრზე მეტად ჩაიწია ნარიმასუს რაიონმა.

ჯერ კიდევ 1961 წელს გახდა შესამჩნევი გრუნტის დონის მნიშვნელოვანი დაწევა, როდესაც 10 სანტიმეტრზე უფრო მეტად ჩაიწია ქალაქის ნაწილმა, რომლის საერთო ფართობი 74 კვადრატულ კილომეტრს უდრის, 1966 წელს ქალაქის სხვა ნაწილში — 12 კვადრატულმა კილომეტრმა, ხოლო შარშან 18 კვადრატულმა კილომეტრმა. ამჟამად ტოკიოს დაახლოებით 27 კვადრატული კილომეტრი ფართობი ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს. გრუნტის დაწევა შესამჩნევია აგრეთვე საიტამასა და ტიბას პრეფექტურებში, რომლებიც ტოკიოს პრეფექტურას ესაზღვრებიან. ქალაქის ხელისუფალთა აზრით, ტოკიოს ჩაწევა ხდება სამრეწველო საწარმოების მიერ მიწისქვეშა წყლების მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოყენების გამო.

● **კაკისტანი**

წყალდიდოგის მსხვერპლნი

რავალპინდი, 1 აგვისტო. (საკდესი). დაკიდან მოსული ცნობების თანახმად, აღმოსავლეთ პაკისტანში წყალდიდოგი საგან 6 მილიონზე მეტი კაცი დაზარალდა. სტიქიურმა უბედურებამ მოიცვა პროვინციის 17-ზე ოლქი, წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა 200-ზე მეტი კაცი.

გაანგარიშების თანახმად, 2 მილიონ აკრზე მეტი ფართობი ნათესი ფიდად დაზარალდა. ჭეულ წყალდიდოგის გამო პროვინციას დაუკლდება მილიონნახევარი ტონა მარცვალი. მთავრობა ახორციელებს ღონისძიებებს დაზარალებულთა დასახმარებლად.

● **ანგოლა**

აფეთქება დენთის ქარხანაში

პარიზი. 1 აგვისტო, (საკდესი). როგორც პორტუგალიის კოლონიის ანგოლის მთავარ ქალაქ ლუანდიდან იუწყებიან, იქ მოხდა აფეთქება დენთის ქარხანაში. არის მსხვერპლი.

ცნობებში აღნიშნულია, რომ ეს უკვე მეორე აფეთქებაა ამ ქარხანაში, სადაც ამზადებენ ტყვია-წამალს, რომელსაც პორტუგალიელი კოლონიზატორები იყენებენ თავისუფლებისათვის ანგოლელ მებრძოლთა წინააღმდეგ ომში.

● **ფილიპინები**

ძლიერი მიწისძვრა

ლონდონი, 2 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს მანილიელი კორესპონდენტი იუწყება, წუხელ ძლიერი მიწისძვრა მოხდა ფილიპინების დედაქალაქში.

ბიძგების ძალა, რომლებმაც შეაშინეს წუხელ ფილიპინების დიდი რაიონი, შვიდი ბალი იყო. მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ ისაბელის რაიონში მდებარეობს 280 კილომეტრზე მანილის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

წინასწარი მონაცემებით, დედაქალაქში დაინგრა ბევრი დიდი შენობა, რომელთა ნანგრავებში დაიღუპა ასობით ადამიანი. განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდა მანილის მჭიდროდ დასახლებული რაიონი სანტა კრუსი, სადაც დაინგრა რამდენიმე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი და ბევრია მსხვერპლი. ქალაქის ზოგიერთ რაიონში გაჩნდა ხანძრები.

ფილიპინების პრეზიდენტი ფერდინანდ მარკოსი რადიოთი გამოვიდა და მოუწოდა მოსახლეობას დაიცვან სიმშვიდე და წესრიგი. მან ხალხს აღუთქვა, რომ მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს ამ სტიქიური უბედურების შედეგების აღმოსაფხვრელად.

კომუნისტი

მე-8 გვერდი, შაბათი, 3 აგვისტო, 1968 წ.

ფოტოინფორმაცია



სოფია. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეცხრე მსოფლიო ფესტივალი. სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის წევრთა შორის.

საკდესის ფოტოკრონიკა

სოფია. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეცხრე მსოფლიო ფესტივალზე გაიმართა ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ გმირი ვიეტნამელი ხალხისა და ახალგაზრდობის ბრძოლისადმი სოლიდარობის დღე. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციამ და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირმა ფესტივალზე გახსნეს კლუბი „ვიეტნამის სოლიდარობის ცენტრი“. გაიმართა გმირი ვიეტნამელი ხალხისადმი სოლიდარობის მიტინგი, რომელზეც ახალგაზრდებმა ერთხმად დაგმეს ამერიკის აგრესია გმირი ვიეტნამის წინააღმდეგ.

სურათზე: ვიეტნამისადმი სოლიდარობის მიტინგი სოფიაში.

საკდესის ფოტოკრონიკა

საერთაშორისო გაზრდა გოგოტაში

ბოგოტა, 2 აგვისტო. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ს. სიჩოკი იუწყება:

გუშინ კოლუმბიის დედაქალაქში გაიხსნა მე-7 საერთაშორისო გაზრდა, რომელშიც მონაწილეობს მსოფლიოს 38 ქვეყანა, მათ შორის სსრ კავშირი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ბერძნეთის დემოკრატიული რესპუბლიკა, რუმინეთი, უნგრეთი და იუგოსლავია. გაზრდის საზეიმო გახსნას დაესწრო კოლუმბიის პრეზიდენტი ლეონარას რეზერეპო.

ბოგოტის საერთაშორისო გაზრდაში პირველად მონაწილეობს შვიდი საბჭოთა საგარეო-სავაჭრო ორგანიზაცია. ისინი გაზრდაზე უჩვენებენ საბჭოენებლო-საგზაო მოწყობილობას, „ვაზ-69“, „ვაზ-500“, „ვაზ-256“ მარკის ავტომობილებს, ჩარხებს, ელექტროძრავებს. საბჭოთა პავილიონში გახსნილია აგრეთვე საბჭოთა წიგნების ფართო გამოფენა.

კოლუმბიის დედაქალაქის მცხოვრებნი დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა პავილიონისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ეკსპონატებისადმი. „ეჭვი არ არის, — წერდა ბოგოტის გახსნის დღეს „ტიემპო“, — რომ საერთაშორისო გაზრდაში სოციალისტური ქვეყნების მონაწილეობა, რომლებსაც სავაჭრო ურთიერთობა აქვთ კოლუმბიასთან, საშუალებას გვაძლევს უკეთ გავეცნოთ ამ ქვეყნების ინდუსტრიულ გავითარებას, რომლებსაც ჯერ კიდევ საკმაოდ არ ვიცნობთ“.

„მოსკვიჩი“ მალაიზიაში

ულალა-ლუმპური, 1 აგვისტო (საკდესი). „მოსკვიჩის“ ბარკის საბჭოთა ავტომანქანები მსოფლიოს თითქმის 50 ქვეყანაში იყიდება. უახლოესი თვეების მანძილზე იგი გამოჩნდება მალაიზიის გზებზეც. აქ ახლახან ხელი მოაწერეს კონტრაქტს იმაზე, რომ ამ ქვეყანას მიიწვდიან 300 ავტომობილ „მოსკვიჩს“.

ამავე დროს დაიდო შეთანხმებანი იმის შესახებ, რომ ტექნიკურ მომსახურებას გაუწევენ საბჭოთა ავტომობილებს და მალაიზიის მთავარ ქალაქებში შეიქმნება მომსახურების სადგურების ქსელი, აგრეთვე დაიდო შეთანხმება, რომ მალაიზიელ ავტომექანიკოსებს ასწავლიან საბჭოთა კავშირში.

ნილაგაკე—მღელვარების მიზეზი

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის ომსა და ამერიკის ქალაქებში კრიზისის გამწვავებას შორის უშუალო კავშირია, განაცხადა დღეს ნიუ-იორკის მერმა ჯონ ლინდსეიმ. გამოვიდა რა კომიტეტში, რომელმაც უნდა შეიმუშაოს რესპუბლიკური პარტიის მომავალი ყრილობის რეზოლუციათა პროექტები, ლინდსეიმ ხაზი გაუსვა, რომ ომის გამო არა მარტო შემცირეს ასიგნებანი განკუთვნილი ქალაქების საჭიროებისათვის და ჯორმოლების მოსასპობად, არამედ ამ ომს იყენებენ როგორც საბაბს უმოქმედობისათვის.

„თეთრკანიანი და შავკანიანი მოქალაქენი ახლა ჩვენს ქვეყანაში ორ შეიარაღებულ ბანაკად გაიყვნენ... — განაცხადა ლინდსეიმ. — სამოქალაქო არეულობისა და მეტწილ დანაშაულთა მთავარი მიზეზია საღამოობამდე, რომელსაც განიცდის 30 მილიონზე მეტი ჩვენი მოქალაქე, შავკანიანი და თეთრკანიანი“.

— ღარიბები უკანონობის ყველაზე მახინჯი ფორმების მსხვერპლნი არიან, — განაგრძო სენატორმა — ღარიბებს ეძლევათ გაფლანგებული პროდუქტები და საჭონელი მომატებულ ფასებში, მათ არომეკენ სამუშაოს, მათი ხვედრია იცხოვრონ სახლებში, რომლებსაც შეუძლიათ ისევე უცილობლად მოაკლან ადამიანი, როგორც ტყვია ალვის“.

ლინდსეიმ ხაზი გაუსვა, რომ მთავრობამ სრულიად უგულებელყო სამოქალაქო არეულობის საქმეთა კომისიის დასკვნები, რომლის რეკომენდაციებს თანახმად, ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ხვედრის შესამსუბუქებლად ოთხი უახლოესი წლის განმავლობაში საჭიროა ასიგნებანი 20 მილიარდი დოლარის რაოდენობით.

ნიუ-იორკის მერმა გაფრთხილა მთავრობა და რასისტები იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ ხელოვნურებით, შაშხანებითა და ტანკებით ალადგინონ კანონიერება და წესრიგი ქალაქებში. შეუძლებელია მშვიდობის უზრუნველყოფა ქალაქებში იარაღის ძალით, განაცხადა ლინდსეიმ.

ოასელები გრუნდებიან

პარიზი, 2 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთში კვლავ ბრუნდებიან ყოფილი ოასელები. გუშინ დედაქალაქში ჩამოვიდნენ გენერალ სალამის ყოფილი პოლიტიკური მრჩეველი ჟან-ჟაკ სიუზენი და „ძარგამომთხრელი და ფსიქოლოგიური მოქმედების დარგის სპეციალისტი“ ყოფილი პოლკოვნიკი ჟან გარდი. ჟან-ჟაკ სიუზენის ალეერის ტუტრის შემდეგ ორჯერ მოუსაჯეს დაუსწრებელად სიკვდილი. იგი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი პრეზიდენტ დე გოლზე თავდასხმისა დაბა მონ-ფარონში.

ჟან გარდი, რომელსაც აგრეთვე დაუსწრებელად მისჯილი ჰქონდა სიკვდილი, ერთხანს იმყოფებოდა ესპანეთში, საიდანაც მეიდრო ოჯახი ჰქონდა ოასელებთან საორანგეთში. მისი ტერორისტული საქმიანობა ფრანკისტულ პოლიციასაც კი ეთაკილებოდა და ამიტომ წინადადება მისცა დაეტოვებინა ესპანეთი, რის შემდეგ ჟან გარდი არგენტინაში გადავიდა.

ყოფილ ოასელთა ჩამოსვლა საფრანგეთში ბოლო ემოქრება მათ სასამართლო დევნით მას შემდეგ, რაც საფრანგეთის პარლამენტის უფასანელმა სესიამ მიიღო ამნისტიის კანონი.

საპროტესტო დემონსტრაცია მ'აიამი-გიჩში

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო. (საკდესი). მიამი-ბიჩში (ფლორიდის შტატი), სადაც 5 აგვისტოს გაიხსნება რესპუბლიკური პარტიის ყრილობა პრეზიდენტობის კანდიდატის ასარჩევად, გაიმართა იმ მოქალაქეთა დემონსტრაცია, რომლებიც წინააღმდეგი არიან ამერიკის აგრესიისა ვიეტნამში.

„ფონტენებლოს“ სასტუმროსთან, სადაც შეიკრიბება რესპუბლიკელთა ყრილობა, ჩამწკრივდნენ მეპიკეტეები პლაკატებით, რომლებზეც ასახულია მოთხოვნა, რომ შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ბომბვა, შეწყდეს ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

ალჟირის მთავრობის სხდომა

ალჟირი, 2 აგვისტო. (საკდესი). ჰუარი ბუმედიენის თავმჯდომარეობით გაიმართა ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა. მოხსენება საბჭოთა კავშირში ამასწინანდელი ვიზიტისა და საბჭოთა კავშირ-ალჟირის მოლაპარაკების შესახებ გააკეთა ალჟირის ეკონომიური დელეგაციის მეთაურმა მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრმა ბელაიდ აბდესალამმა.

მთავრობის წევრებმა, როცა გაეცნენ ორ ქვეყანას შორის დადებულ შეთანხმებებს, აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირ-ალჟირის თანამშრომლობა ეფექტიანი და ჰარმონიულია.

მინისტრთა საბჭომ ხაზი გაუსვა, რომ სსრ კავშირისა და ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობა სულ უფროფართოვდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, ხოლო სავაჭრო გაცვლა მნიშვნელოვნად იზრდება.

ცრუკონსტიტუცია ხუნტის სამსახურში

საბერძნეთის სამხედრო ხუნტა აძლიერებს კამპანიას ეგრეწოდებული „ახალი კონსტიტუციისათვის“. სიცრუე და დემაგოგია ხუნტის ძირითადი იარაღია. ამ უხეში ფარსის — რეფერენდუმის („ახალი კონსტიტუცია“ უნდა მოიწონონ 29 სექტემბერს) არსი გასაგები გახდა პრემიერის მოადგილისა და თავდაცვის მინისტრის პატაკოსის გამოსვლის შემდეგ უცხოელ ჟურნალისტთა წინაშე. პატაკოსმა განაცხადა, რომ „უკვე 6 მილიონმა კაცმა გამოგზავნა წერილი და შეავსო ანკეტა, სადაც დადებითად აფასებენ ახალი კონსტიტუციის პროექტს“ (ინტერესს მოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ ბერძენ ამომრჩეველთა რიცხვი 5 მილიონს არ აღემატება). ამის შემდეგ პატაკოსმა ინგლისურ გაზეთ „გარდიანის“ ათენელ კორესპონდენტს აცნობა, რომ მთავრობა „არ აპირებს მალე დაუბრუნდეს საპარლამენტო სისტემას, რადგან, თუ ეს მოხდა, ჩვენი რევოლუცია დაიღუპება“. დიდ სიძნელეებს განიცდის ხუნტის ხელმძღვანელობა, მაგრამ ასევე დიდმა დაბნეულობამ მოიცვა იგი.

ხუნტა, რომელიც აძლიერებს ტერორს, განაგრძობს „არაკეთილსაიმედო“ მუშებისა და მოსამსახურეების სამსახურიდან დათხოვნას, ამავე დროს ცდილობს „დაკანონოს“ თავისი დიქტატურა. ამისათვის მას ესაჭიროება „ახალი კონსტიტუცია“.

კონსტიტუციის პროექტიდან უკვე ჩანს, თუ რამდენად მკაცრი იქნება ხუნტის მიერ თავსმოხვეული „ახალი წესრიგი“: პრაქტიკულად იხპობა მოქალაქეთა ელემენტარული უფლებები — სიტყვის, კრების, გაერთიანების თავისუფლება, გაფიცვათა მოწყობის უფლება.

ცნობილია, რომ ძველი ბერძნული კონსტიტუცია, რომელიც ხუნტამ უარყო, მონარქიის კრედოს გამომხატველი იყო. რამ აიძულა ხუნტა, რომელიც ოფიციალურად მზარს უბერს მონარქიას, გაეუქმებინა მეფის კონსტიტუცია? უწინარეს ყოვლისა, დემოკრატიული ხასიათის ზოგიერთმა მუხლმა, რაც ბერძენი ხალხის მრავალი წლის ბრძოლის შედეგად იყო მიღწეული, მაგალითად, 114-ე მუხლი, რომლის მიხედვით კონსტიტუციის დაცვა ხალხს ეკისრება, და მე-8 მუხლი, რომელიც კრძალავს საგანგებო სამხედრო ტრიბუნალებს და სხვ. და როდესაც მაისის დამლევს უცხოელი ჟურნალისტები ხუნტის სულისჩამდგმელს პრემიერ პაპანდოპულოსს შეეკითხნენ, რა ბედი ეწევა გაუქმებული კონსტიტუციის ამ მუხლებსო, მან ცინიკურად უპასუხა, რომ „დემოკრატიულმა გაზნილვამ ქვეყანაში შესაძლებელია მათში ზოგიერთი ცვლილებები შეიტანოს“ (!).

კონსტიტუციის პროექტი სიცრუით არის გაჟღენთილი. მაგალითად, გათვალისწინებულია ერთდროულად პარლამენტისა და კონსტიტუციური სასამართლოს შექმნა, რომლის კომპეტენციაშიც, კერძოდ, შედის პარლამენტიდან ხალხის „არაკეთილსაიმედო“ წარმომადგენელთა გარიცხვა. უქმდება პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებიც „ეწინააღმდეგებიან არსებულ სოციალურ წყობას“, რაც ნიშნავს სხვაგვარად მოაზროვნეთათვის საკონცენტრაციო ბანაკებისა და საპყრობილეების დაკანონებას.

ამ ფარსმა მთელი ხალხის საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია. ქვეყნის მემარცხენენე ძალები, წინააღმდეგობის ყველა ორგანიზაცია, ცენტრის კავშირის პარტიის ლიდერები და მოღვაწეები, ზოგიერთი მემარჯვენენიც კი გამოვიდნენ „ახალი კონსტიტუციის“ მიღების წინააღმდეგ, რომელიც ტერორისა და ძალმომრეობის პირობებში ფაშისტურმა რეჟიმმა შეათითხნა. პატრიოტული ფრონტი მრავალჯერ უსვამდა ხაზს, რომ „მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტსა და მთავრობას შეუძლია ქვეყნის კონსტიტუციის შეცვლა“. საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ, რომელმაც ამხილა ხუნტის ცრუკონსტიტუცია, იგი დაახასიათა როგორც „ფაშისტური რეჟიმის სტატუსი“ და ბერძენ ხალხს მოუწოდა ბოიკოტი გამოუცხადოს მომავალ რეფერენდუმს.

კონსტიტუციის შეცვლა ხალხის განსაკუთრებული და განუყოფელი უფლებაა. ამ ლოზუნგით მიმდინარეობს ახლა ერის მთელი პოგორესული ძალების შეკავშირება დიქტატურის დასამხობად და დემოკრატიის დასამყარებლად.

დ. ციბუკიდისი,

ბერძენი ჟურნალისტი.

„ბავი პოლკოვნიკების“ იარაღი.

ნახ. ბ. ლუბიტიჩი.

საერთაშორისო ბანკი

პოლიტიკური კრიზისი ბოლივიაში

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ი. რომანცოვი იუწყება:

ბოლივიაში გრძელდება პოლიტიკური კრიზისი, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ სხვადასხვა ოპოზიციური დაჯგუფება უარყოფილია პრეზიდენტ ბარიენტოსის საქმიანობით. საგანგებო წესების შემოღებამ და მინისტრთა სამხედრო კაბინეტის დანიშვნამ ვერ განამტკიცა ბარიენტოსის რეჟიმი. როგორც საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, ბოლივიაში გრძელდება მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგები და დემონსტრაციები, ძლიერდება კონფლიქტი პრეზიდენტსა და კონგრესს შორის.

დემონსტრანტების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი მეთოდი კვლავ რეპრესიების გამოყენებაა. ამ დღეებში ლა-პასში ცრემლსადენი გაზებით გარეკეს სტუდენტთა მანიფესტაცია, რომელიც მიმდინარეობდა ლოზუნგით: „ძირს მხედრიონი“, რამდენიმე კაცი დაჭრეს.

კონფლიქტმა კონგრესთან კვლავ იჩინა თავი მას შემდეგ, რაც ბარიენტოსის ბრძანებით პარლამენტის რამდენიმე წევრი გადაასახლეს. პრეზიდენტის წინააღმდეგ განწყობილი კონგრესმენები ახლა მოითხოვენ პარლამენტის მოწვევას ბარიენტოსი გადაჭრით უწინააღმდეგება ამას. რადგან შიშობს, რომ პარლამენტმა შეიძლება ჩამოართვა პრეზიდენტს უფლებამოსილება.

ლა-პასიდან მიღებულ ცნობებში გამოთქვამენ ეარაუდს, რომ არმია აპირებს ჩამოაგდოს ბარიენტოსი და პრეზიდენტად დანიშნოს შეიარაღებული ძალების სარდალი გენერალი ალფრედო ოვანდო კანდია.

ბარიენტოსის რეჟიმი, რომელსაც ყოველი მხრიდან უტევენ, მხოლოდ ვაშინგტონის მხარდაჭერით არსებობს, ვაშინგტონს კი ყოველ მომენტში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თავისი გავლენიანი აგენტის ახალი აგენტით შეცვლის შესახებ.

ჩვენს ყარ-ჟყარეში

ᲒᲐᲖᲐᲢᲧᲝᲜᲘᲡᲔᲑᲘᲡ „ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲘ ᲪᲘᲛᲪᲘᲛᲔᲑᲡ ᲛᲗᲔᲑᲨᲘ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲑᲘᲠᲘ მთა რაიონის სოფლებში ციმციმებს ცისფერი ეკრანი. ამას წინათ კი კავშირგაბმულობის სამინისტროს სპეციალურმა სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ რიული რელიეფის პირობებში დაამთავრა ფონა-ბორჯომის და ახალციხე-ადიგენის სატელევიზიო გადაცემის ხაზების გაყვანა. აღსანიშნავია, რომ ბორჯომისა და ადიგენის რაიონების მშრომელებმა ერთსულოვანი და უანგარო დახმარება გაუწიეს მშენებლებს.

ამასთან ადიგენის სატელევიზიო ხაზი . აშენდა უაღრესად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში. წლევანდელი უზვთოვლიანი ზამთარი და წვიმიანი გაზაფხული ხელს უშლიდა მშენებლებს, მაგრამ ივლისში ადიგენში მაინც აკიაფდა ცისფერი ეკრანი. სატელევიზიო გადაცემის ხარისხი მაღალია. ახლა ცისფერ ეკრანს ადიგენის რაიონის სოფლებიც უყურებენ.

1968-69 წლებში სატელევიზიო გადაცემებს მიიღებენ ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების მშრომელებიც. („კომ.“ კორ.).

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲒᲒᲑᲐᲜᲘ

ზესტაფონის რაიონის შემნახველი სალაროები ხშირად ანაღდებენ ფულისა და ნივთების ლატარიის დიდ მოგებებს. ამ დღეებში ბედნიერი ბილეთები აღმოაჩნდათ სიმონ და პეტრე გველესიანებს. მათ პიანინოები მოიგეს. მაცივრები ხვდათ გ. ჩხეიძისა და ტ. გიორგაძის ბილეთებს.

გ. ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲐ,
ზესტაფონის ცენტრალური შემნახველი სალაროს გამგე.

ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲜ

70 კილტარი უჭირავს კოლხიდის ზღვისპირა ქალაქის მეკვავილეობის ახალ საბჭოთა მეურნეობას.

მეურნეობაში უკვე მიიღეს ყვავილების პირველი პროდუქცია, 10 ათასი ცალი ალადიოლუსი გაიგზავნა თბილისში, ხოლო მალე სხვა სახის ყვავილებსაც მიაწვდიან ჩვენი ქვეყნის ქალაქებს.

მუშავდება მეურნეობის განვითარების გენერალური გეგმა. მეურნეობის ინიციატივით ფოთში ყოველწლიურად მოეწყობა ყვავილების გამოფენა-დღესასწაული.

(„კომ.“ კორ.).

„ᲖᲐᲐᲠᲝᲠᲝᲥᲔᲪᲘ“ — ᲝᲛᲘᲡ ᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲘ

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲛᲠᲔᲑᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲑᲘᲝᲠᲒᲘᲡ-ᲫᲔ ᲡᲘᲚᲐᲒᲐᲫᲔ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲓᲐᲛᲙᲥᲠᲝᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲫᲘᲛᲔᲓ ᲓᲐᲘᲞᲧᲠ. ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲛᲐ Ა. ᲡᲘᲚᲐᲒᲐᲫᲔᲛ ᲣᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲝᲓ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲡᲣᲒᲣᲭᲘ ᲐᲒᲢᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ „ᲖᲐᲐᲠᲝᲠᲝᲥᲔᲪᲘ“.

Გ. ᲜᲔᲛᲘᲜᲐᲫᲔ.

ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲐᲨᲔᲜᲓᲐ, ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ...

ᲫᲘᲐᲗᲣᲠᲐ. მარგანეცის ქალაქში, საკოლმეურნეო ბაზართან აშენდა ახალი ავტოსადგური. იგი საქალაქთაშორისო და საგარეუბნო მარშრუტებით მომსახურებას გაუწევს სოფლისა და ქალაქის მგზავრებს.

Ა. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ.

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. მდინარე ყვირილას მარცხენა სანაპიროზე, იქ, სადაც საავტომობილო ხიდია, საქვეჯრობის ზესტაფონის განყოფილებამ ამ დღეებში გახსნა ახალი ორსართულიანი მაღაზია „იმერეთი“.

Ა. ᲤᲝᲗᲪᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲑᲐᲨᲐ. დაიწყო და ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ჩიის ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც გადაამუშავებს 750 ტონა ჩიის ფოთლის ნედლეულს. დამთავრებულია მთავარი კორპუსის მშენებლობა და დანადგარების დამონტაჟება. ფაბრიკის მშენებლობაზე 180 ათასი მანეთი დაიხარჯება.

სოფლებში განკარში, მარანსა და სამიქაოში გაიხსნა ახალი სბამავშვო ბაღები. მაღაზიების ახალი შენობები აშენდა ტყვირსა და გეზათში.

ᲘᲕ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐ.

ᲬᲣᲒᲓᲘᲓᲘ. ჭითაწყაროელებმა აითვისეს 11 ჰექტარი დღემდე გამოუყენებელი ფართობი. 9 ჰექტარზე დაირგო ხეხილი, ხოლო ორ ჰექტარზე ვენახი გაშენდა. ნარგავები შემოკავებულია კაპიტალურად.

Გ. ᲚᲝᲛᲯᲘᲫᲔ.

ᲐᲮᲛᲔᲢᲐ. დამთავრდა ახმეტის ოთხსართულიანი რაიონული საავადმყოფოს მშენებლობა. იგი 125-საწოლიანია. შენობას აქვს ლიფტები. საავადმყოფო აღჭურვილია ტექნიკის საუკეთესო მიღწევების მიხედვით. მთავრდება ინფექციური საავადმყოფოს შენობის მოპირკეთება.

საავადმყოფო მოემსახურება მატანს, ალვანს, ქისტაურს, დუისსა და სხვა სოფლებს.

ᲘᲠ. ᲥᲘᲒᲠᲝᲛᲬᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲮᲣᲚᲝ. სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება მთის კალთებზე შეფენილი სოფელი ფუშრუკაული. ბოლო დროს აქ აშენდა საშუალო სკოლა, საფეხმლო პუნქტი, საკოლმეურნეო ფერმა, კლუბი, ბიბლიოთეკა, კოლმეურნეთა ოდა-სახლები.

Გ. ᲠᲐᲖᲛᲐᲫᲔ.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲙᲚᲐᲥᲖᲔ

ᲓᲐᲮᲡᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲥᲐᲠᲩᲘᲜᲔᲡ

ᲤᲝᲗᲝᲜᲘᲡ საგარეუბნო კურორტ მალთაყვის ტურისტულ ბაზაში ტურისტ-დამსვენებელთა დიდი სმრავლეა. მათ განსაკუთრებით იტაცებს გაშლილი ქვიშიანი პლაჟი.

იმ დღესაც შშვიდი, მზიანი დღე იყო. პლაჟი სავსე იყო ტურისტ-დამსვენებლებით. მობანავეებს თითქოს არავითარი ხიფათი არ მოელოდათ, მაგრამ შუადღისას ამინდი შეიცვალა, უეცრად მძლავრად დაჰქროლა ზღვაურმა და ტალღებიც დასძრა. სამი ტურისტი ზვირთებმა სანიშნე საცურავი ზოლის იქით გაიტაცა. მცურავები საბედისწერო მდგომარეობაში აღმოჩდნენ. ეს შენიშნეს მაშველი საგზურის თანამშრომლებმა ომარ გვალიამ და სლაავ ბაირამიდიმ, რომლებმაც განწირულნი ზღვის სტიქიას გამოსტაცეს.

ნაპირზე სამივეს პირველი დახმარება გაუწია მედდამ ევგენია გაგუამ.

Თ. ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ.

ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲜ

„ᲖᲐᲐᲠᲝᲠᲝᲥᲔᲪᲘ“ — ᲝᲛᲘᲡ ᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲘ

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ მცხოვრები ალექსანდრე გიორგის-ძე სილაგაძე გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. ახლახან მეორე ჯგუფის ინვალიდმა ა. სილაგაძემ უსასყიდლოდ მიიღო მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“.

Თ. ᲜᲔᲛᲘᲜᲐᲫᲔ.

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲗᲘᲡ ხუთი ქალაქის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობები.

წარმატებით გამოვიდა მჩატე წონის საბჭოთა ძალოსანი Თ. ᲞᲠᲘᲖᲜᲘᲩᲘᲜᲘ, რომელმაც აკიმა 118 კილოგრამი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა.

მორიგ მატჩში ჩვენმა ფრენბურთელმა ქალებმა დაამარცხეს საფრანგეთის გუნდი 3:0, კალათბურთელმა ვაუებმა კი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი 74:52.

დაიწყო მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობა. საბჭოთა სპორტსმენებიდან სტარტზე გამამარჯვეს სტრელნიკოვმა და ᲐᲑᲔᲚᲘᲜმ.

სოფიის თავისუფლების პარკში შედგა ველორბოლა 152 კილომეტრზე. ხუთმა სპორტსმენმა აჩვენა თანაბარი დრო — 4 წუთი და 16,7 წამი. ხუთივე პოლონელი ველოსიპედისტი იყო. მათ შორის პირველობა ᲙᲔᲒᲔᲚᲡ ხვდა.

ᲬᲘᲜ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲐ

იაპონელმა ფრენბურთელებმა დაამთავრეს ტურნე საბჭოთა კავშირში. პირველ რიგში ყურადღებას იპყრობდა მსოფლიო და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონის იაპონიის ქალთა გუნდის გამოსვლები. ჩვენმა ფრენბურთელებმა ოთხი შეხვედრიდან სამი მოიგეს (3:0, 3:1, 3:1), და მხოლოდ ერთში განიცადეს დამარცხება 1:3. საბჭოთა ვაჟების გუნდმა სამი შეხვედრიდან სამივე მოიგო 3:0, 3:2, 3:0.

ᲫᲘᲜ მიიღეს მონაწილეობას ოლიმპიურ ტურნირში?

ესენი არიან: იაპონიის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, პერუსა და მექსიკის ქალთა და სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იაპონიის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბულგარეთის, ბრაზილიისა და მექსიკის ვაჟთა გუნდები.

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲝᲨᲘ, ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

ᲡᲐᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ კინოფესტივალი გაიმართება მეხიკოში ოლიმპიური ასპარეზობის დღეებში. როგორც საკადესის კორესპონდენტს აცნობეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კინემატოგრაფიის კომიტეტში, 2 აგვისტოს მექსიკაში გაიგზავნა 10 საბჭოთა ფილმი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კონკურსში.

სრულმეტრაჟიანი ფილმი „სპარტაკიადა — საიუბილეო წელი“ მოგვითხრობს სპორტის გრანდიოზულ დღესასწაულზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შარშან გაიმართა.

ნორჩი სპორტსმენის ნატალია კუჩინსკაიას — სპორტულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის ახოლუტური ჩემპიონის შრომითს დღეებს გვიჩვენებს ფილმში „ნა-ტა-ლი“ კიეველი რეჟისორი ვ. საველიევი.

კინოფესტივალზე უჩვენებენ ავრეთვე ისეთ ფილმებს, როგორიცაა ქართული კინონოველა „ჭორწილი“, დოკუმენტური ფილმები „საიუნეებში შობილი მექსიკა“, „ფიქრები სტარტის წინ“, „მოძრაობის საოცარი ბუმყარო“ და „ახალგაზრდობის დღესასწაული“.

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირში ტურნეს მართავენ დინიის „ოლბორგის“, უნგრეთის „ხოლოდაშისა“ და რუმინეთის „პროგრესულის“ საკლუბო გუნდები.

ᲛᲝᲠᲘᲜᲘ მატჩი დანიის „ოლბორგს“ ჰქონდა გროდნოში ბელორუსიის ნაკრებთან და შეხვედრა ფრედ (1:1) დაამთავრა.

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ „ხოლოდაში“ კრასნოდარს ეწვია და აქ შეხვდა ადგილობრივ „ყუბანს“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 2:1.

ᲑᲐᲢᲩᲘ ტულაში ადგილობრივი „მეტალურგისა“ და რუმინეთის „პროგრესულის“ გუნდებს შორის დამთავრდა ტულელთა გამარჯვებით 2:1.

ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲢᲡᲐᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ 22 კოლექტივი განაგრძობს ბრძოლას ჩვენი რესპუბლიკის პირველობისათვის პირველი ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში. მათს უმრავლესობას დღეისათვის გამართული აქვს 25 თამაში.

სატურნირო ცხრილის სათავეში კვლავ დგას თბილისის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი, რომელსაც 25 თამაშიდან 39 ქულა აქვს. ლიდერს 4 ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა ცხაკაია „კოლხეთი“. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს და ზესტაფონის „მეტალურგს“ 24 თამაშიდან 32-32 ქულა აქვთ და თანმიმდევრულად მესამეზე და მეოთხე ადგილზე იმყოფებიან. მეხუთე ადგილზეა წულუკიძის „ფეიქარი“ — 25 თამაშიდან 30 ქულა.

აუტსაიდერები არიან გორის რაიონის „ქართლი“ (24 თამაშიდან 15 ქულა,) ახალციხის „მესხეთი“ (24 თამაშიდან 16 ქულა) და აწყურის „სამცხე“ (24 თამაშიდან 16 ქულა).

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● ᲝᲪᲓᲐᲔᲠᲘᲝ ტურის შემდეგ უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა კოლექტივების საიუბილეო ჩემპიონატის მთავარ ბომბარდირად ითვლება ტაშკენტის „პახტაკორის“ ფორვარდი ბ. ᲐᲑᲓᲣᲠᲐᲘᲛᲝᲕᲘ, რომლის აქტივშია 18 გოლი.

11 ბურთი აქვს გატანილი დონის როსტოვის არმიის სახპორტო კლუბის გუნდის თავდამსხმელს Მ. ᲙᲝᲜᲐᲕᲔᲕᲡ, ათ-ათი ბურთი — Ე. ᲡᲢᲠᲔᲚᲪᲝᲕᲡ (მოსკოვის „ტორპედო“) და Ბ. ᲫᲣᲡᲘᲜᲝᲕᲡ (მოსკოვის „სპარტაკი“), 8 ბურთი — Რ. ᲐᲑᲐᲛᲐᲚᲘᲔᲕᲡ (მოსკოვის „ლოკომოტივი“).

● ᲡᲙᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ გრძელდება „სოლიდარობის ტურნირი“, ჰადრაკში. საბჭოთა გროსმაისტერმა ᲞᲝᲚᲣᲒᲐᲔᲕᲡკმ იუგოსლავი ვეტერანის გლიგორიჩის დამარცხების შემდეგ თვალსაჩინოდ გაიუჯობესა მდგომარეობა.

16 ტურის შემდეგ წინ არის პორტიში, რომელსაც 11,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

Ბ. ᲐᲛᲑᲝᲙᲐᲫᲔ



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დიდი დანაკლისი განიცადა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებამ. ძმიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ეროზიის განყოფილების გამგე, სკკპ წევრი 1944 წლიდან ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ-ᲫᲔ ᲐᲛᲑᲝᲙᲐᲫᲔ.

უფროოდ წავიდა ჩვენგან სოფლის მეურნეობის ეს გამოჩენილი სპეციალისტი, რომელმაც თავისი სიცოცხლის 40 წელიწადზე მეტი მოახმარა საქართველოს, აზერბაიჯანის ნიადაგური საფარის შესწავლას და ეროზიის საწინააღმდეგო ქმედითი ღონისძიებების დამუშავებას.

ვ. ამბოკაძე დაიბადა 1904 წელს ქარელის რაიონის სოფელ მოხისში მოსამსახურის ოჯახში. 1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი და ამ დროიდან ეწეოდა სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში.

დიდი სამამულო ომის წლებში ვ. ამბოკაძე საბჭოთა არმიის რიგებში იმყოფებოდა. 1946 წლიდან იგი კვლავ უბრუნდება მეცნიერულ მოღვაწეობას საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. აქ იგი განაგებდა ნიადაგების ეროზიის განყოფილებას, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ნაყოფიერად მუშაობდა.

1968 წელს ვ. ამბოკაძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე — „ეროზიული პროცესები აღმოსავლეთ საქართველოში და მათთან ბრძოლის ღონისძიებები“.

ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობასთან ერთად ვ. ამბოკაძე მთელი რიგი წლების განმავლობაში პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. განსვენებულის კალამს ეკუთვნის 80-ზე მეტი სამეცნიერო შრომა.

ვ. ამბოკაძე მთელი რიგი წლების განმავლობაში იყო ინსტიტუტის პარტიული ბიუროს მდივანი, არჩეული იყო მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს დეპუტატად, იყო ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და სხვ.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ვ. ამბოკაძის საბრძოლო დამსახურება და შრომითი მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის მეორე ხარისხის, შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მედლებით.

გამოჩენილი სპეციალისტის, გულისხმიერი მუშაკის ვ. ამბოკაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება სოფლის მეურნეობის მშრომელთა შორის, მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ, ᲐᲒᲠᲝᲥᲘᲛᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ, ᲐᲒᲠᲝᲥᲘᲛᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ.

ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ

● ᲓᲐᲮᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲤᲣᲜᲘᲙᲣᲚᲝᲠᲘᲡ ᲙᲚᲐᲢᲝᲡᲖᲔ ●

ᲙᲐᲠᲣᲡᲔᲚᲘ. ᲤᲝᲢᲝ Თ. ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡᲐ.

ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲖᲔ

ᲠᲐᲡ ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲔᲜ ᲒᲠᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲜᲝᲡᲢᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა დაამთავრეს ჩვენი ქვეყნის გვიანფეოდალური ხანის — XIV-XV საუკუნეების გრემის ნაქალაქარისა და ნოსტეს ნასახლარის გათხრები.

„ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ კორესპონდენტი ესაუბრა ორივე ექსპედიციის ხელმძღვანელს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, პროფესორ პარმენ ზაქარაიას, აგრეთვე მის მოადგილეებს მუზეუმის უფროს მეცნიერ მუშაკს ლ. ჯილაშვილს, ი. ბერძენიძეს და სხვოვა მათ ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის გაიცინთ გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა.

— როგორც ისტორიული წყაროებით არის ცნობილი, — გვითხრა ზაქარაიამ, — ქალაქი გრემი დაარსებულ იქნა 1466 წელს და იგი ითვლებოდა კახეთის სამეფოს დედაქალაქად. მე-17 საუკუნის დასაწყისში ქალაქი დაარბია შაჰ-აბასმა თავისი ორი შემოსევის დროს. ამის შემდეგ ქალაქი ცოტა ხანს კიდევ არსებობდა. შემდგომ წლებში კი კახეთის ცენტრად კვლავ თელავი ხდება.

გრემი დიდი, ხალხმრავალი და სახელგანთქმული ქალაქი იყო. ქალაქის ტერიტორია 50 ჰექტარზე იყო გადაჭიმული. აქაურ საქმიან წრეებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ არა მარტო საქართველოს ყველა კუთხესთან, არამედ მთელი წინა აზიის ქალაქებთანაც. თვით გრემი სამი ნაწილისაგან შედგებოდა. ქალაქის ცენტრში მოთავსებული იყო სასახლე და მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც 1565 წელს აუშენებიათ. აქვე იყო დიდებულთა საცხოვრებლები. ქალაქის დასავლეთი მონაკვეთი ეკავა სავაჭრო უბანს. გათხრებმა გამოავლინა მრავალი საინტერესო ნაგებობა, სასახლეები, სხვადასხვა დროს დანგრეული და აღდგენილი მეფეთა პავილიონები, ორი აბანო, რომელთაგან ერთი ემსახურებოდა მეფესა და დიდებულებს, მეორე — სავაჭრო უბანს.

მეტად საინტერესო იყო დიდი სავაჭრო ქარვასლის მიკვლევა, ეგრეთწოდებული ქულაბეები ს, რომელიც წარმოადგენდა დახურულ ბაზარს. აღმოჩნდა სხვადასხვა დროს ნაგები საცხოვრებელი ნაგებობანი, კოშკი, მარნები და ერთ-ერთი დიდი შენობა, რომელსაც ტრადიციით და ადგილობრივი გადმოცემით აკადემიას ეძახდნენ. აქვე შეიძლება დავასახელოთ იმავე ტერიტორიაზე გაშენებული ათამდე ეკლესია.

აღსანიშნავია ქალაქის წყლით მომარაგების მაღალი კულტურა. წყალი კერამიკული მილებით მოჰყავდათ ორი მხრიდან — მდინარეების ინწობასა და ბოლიას სათავეებიდან. შიგ ქალაქის ტერიტორიაზე ვნახეთ მეფეთა საზაფხულო სასახლე შადრევნით და შვიდი ნაგებობა აუზით. ამავე დროს, როგორც ეტყობა, გრძელსაკაძის რეზიდენციას. საკაძეები, როგორც ისტორიული ცნობებით ვიცით, ადრე ტანას ხეობაში ცხოვრობდნენ, ხოლო მე-16 საუკუნის ბოლოდან უკვე ნოსტეში არიან. ნოსტე და მისი მიდამოები საკაძეებს ეკუთვნოდათ, მათი სამარხი იყო ერთაწმინდაში, სადაც მარხია გიორგი საკაძის შვილის — პაატას თავი. შემდგომში გიორგი საკაძის შთამომავლები თარხანმოურავებად იწოდებოდნენ.

ნოსტეს გათხრებამდე გიორგი საკაძის ყოფილი რეზიდენციის ტერიტორიაზე ჩანდა მხოლოდ ერთი კოშკი. არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა საკაძის ორსართულიანი სასახლის ნაშთი, საცხოვრებელი სახლები, საჯინიბო, აბანო და სხვა მრავალი დამხმარე ნაგებობა. მოპოვებული ნივთებიდან საინტერესოა ფაიფურის, მინისა და ლითონის ჭურჭელი. წყლით მომარაგების საკითხი აქაც კარგად ყოფილა მოგვარებული. ნასახლარის ორივე მხარეს აღმოჩნდა კერამიკის მილები, საიდანაც წყაროს წყლები შემოჰყავდათ.

გიორგი საკაძეს ცოტა ხანს მოუხდა თავის რეზიდენციაში ყოფნა. იგი იძულებული იყო თურქეთში გაქცეულიყო, სადაც მოლალატურად მოკლეს. შემდგომ ნოსტეში დაბრუნდა მისი შვილი ითრამი, რომლის შთამომავლობამაც განაგრძო აქ ცხოვრება.

ნოსტე ძალიან მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. აქ არის კარის ეკლესია და მრავალ ნაგებობათა ნაშთები. არქეოლოგებმა მიაკვლიეს ავრეთვე ბრინჯაოს ხანის ნივთებს, კერამიკულ ნაწარმს, ნამარხებს, რაც იმას მოწმობს, რომ ამ ადგილებში ცხოვრება ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულის ბოლოს ყოფილა.

ექსპედიცია არ შემოფარგლულა მარტო გრემისა და ნოსტეს ტერიტორიის გათხრებით. შესწავლილ იქნა აგრეთვე ამ ისტორიული ადგილების მომიჯნავე მიდამოები, იქ შემორჩენილი ნაგებობები, ციხეები, სასახლეები, ეკლესიები, კოშკები და სხვ.

ამუამად ექსპედიციის მუშაკები ამზადებენ გამოფენას, სადაც ფართოდ გააცნობენ ჩვენს საზოგადოებრობას საქართველოს გვიან ფეოდალური ხანის ქალაქ გრემსა და ნოსტეს ნასახლარზე მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებს.

ამუამად ექსპედიციამ იმავე შემადგენლობით გადაინაცვლა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც გათხრები დაიწყო ჭალვინჯის (ზუგდიდის რაიონი) ციხის ტერიტორიაზე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირში ტურნეს მართავენ დანიის „ოლბორგის“, უნგრეთის „ხოლოდაშისა“ და რუმინეთის „პროგრესულის“ საკლუბო გუნდები.

ᲛᲝᲠᲘᲜᲘ მატჩი დანიის „ოლბორგს“ ჰქონდა გროდნოში ბელორუსიის ნაკრებთან და შეხვედრა ფრედ (1:1) დაამთავრა.

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ „ხოლოდაში“ კრასნოდარს ეწვია და აქ შეხვდა ადგილობრივ „ყუბანს“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 2:1.

ᲑᲐᲢᲩᲘ ტულაში ადგილობრივი „მეტალურგისა“ და რუმინეთის „პროგრესულის“ გუნდებს შორის დამთავრდა ტულელთა გამარჯვებით 2:1.

ᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

● ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 3 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

10.50 — გადაცემათა პროგრამა, 11.00 — „ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ დაბადების დღეს“ — მუსიკალურ-გასართობი პროგრამა (მოსკოვიდან), 11.30 — „ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ“. სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მოსკოვიდან), 12.00 — საესტრადო კონცერტი „მელოდიიდან მელოდიამდე“, 12.30 — „კინოაფიშა“, 13.00 — „შაბათის რეპორტაჟი“ — „სტუმარმოყვარე სანლი“ (გადმოცემა ვილნიუსიდან), 13.30 — კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ფილმების ფესტივალი. მხატვრული ფილმი „ჩეკას თანამშრომელი“, 15.10 — „ბავშვებისათვის სატელევიზიო სპექტაკლი „მოდი ჩვენთან“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 16.20 — კინოჟურნალი „ახალი ამბები“, 16.30 — ეთერშია ახალგაზრდობა (გადმოცემა მინსკიდან), 17.15 — გადაცემათა პროგრამა, 17.35 — ახალი ამბები, 17.40 — გადაცემა ბავშვებისათვის „ამაგდარი ხელოვანი“ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თამარ თვალიაშვილი, 18.30 — მხიარული ეკრანი, 18.50 — საერთაშორისო მიმოხილველები მრგვალი მაგიდის გარშემო, 19.35 — გადაცემა — ვახტანგ წინამძღვრიშვილი, 19.45 — „მოამბე“—საინფორმაციო პროგრამა, 20.15 — კინომოგზაურთა კლუბი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.15 — მხატვრული ფილმი „ქალები“, 22.50 — გადაცემათა პრო